

ლელა

ავტორი:სალომე ბელქანია

სკოლამდელი ბავშვები, სკოლის მოსწავლეები, აუტისტები და ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. ლელა მუშაობს, ფსიქოლოგად და ევრითიმისტად მუშაობს, ფიზიკურ სავარჯიშოებს აკეთებინებს და რჩევებს აძლევს ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება, ყველას, ვინც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს, ყველას, ვისაც სკოლაში შესვლა უნდა და უბრალოდ ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება.

ადგება დილით ადრე, გახუხულ პურს მურაბას გადაუსვამს, ცხელ ჩაის ჩქარა გადაყლურწავს და მიდის. საქმე ბევრია, დრო ცოტა, რუტინა დამღლელი. ჩაჯდება ავრობუსში, მივა მეტრომდე, გასცდება რამდენიმე გაჩერებას და 300 არაგველზე ჩამოვა. მერე ფეხით აივლის ერთ ქუჩას, მარჯვნივ შეუხვევს, მეორე ქუჩაზე ავა, ისევ მარჯვნივ შეუხვევს და ქუჩის ბოლოს გავა. მერე რკინის შავ კარს გააღებს. აქ ლელას ადამიანები ელოდებიან, ისინი, ვინც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ, აქ სოციალური თერაპიის სახლია და აქ, იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროებათ, თავიანთი სამსახური აქვთ. ისინი ხეზე მუშაობენ, საქსოვ დაზგებზე ჩანთებს ქსოვენ, საამკინძაოში რვეულებს კინძავენ, სამზარეულოში სადილს ამზადებენ და სანთლების სახელოსნოში, ფერად სანთლებს გასაყიდად ამზადებენ.

ლელა დილიდან საღამომდე მათთან ერთად მუშაობს, სავარჯიშოებს აკეთებინებს, გააქტიურებაში ეხმარება და კონსულტაციებს უტარებს. ხანდახან ლელა ქედელშიც ადის ხოლმე. ქედელი სიღნაღშია. აქაც ადამიანები არიან, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. ლელაც განსაკუთრებულად ერთვება მათ ცხოვრებაში, დახმარება ყველას სჭირდება. ხელფასი დაბალი აქვს, მოტივაცია მაღალი. აგერ უკვე თითქმის 25 წელია ამ საქმეს აკეთებს და თან თითქმის უანგაროდ.

- კარგი რა, დაანებე მაგას თავი და რამე სხვა სამსახური დაიწყე, უკეთესი ხელფასი რომ გქონდეს და თან, დროც რომ დაზოგო ისეთი.

ბევრჯერ გაუგონია ლელას ეს ფრაზა, მაგრამ მე ეს საქმე უნდა ვაკეთოო, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. აკეთებს კიდევ! დილიდან გვიან საღამომდე, წლიდან წლამდე და ვინ იცის, იქნებ ცხოვრებიდან ცხოვრებამდეც.

ლელა ფრანგულაშვილია, მოკლედ შეჭრილი, ღია ფერის თმით, თავზე ყავისფერი ბერეტით, უფრო მუქი ყავისფერი დუტის პალტოთი და ასევე ყავისფერი, გვერდზე გადაკიდებული ჩანთით. გადაიკიდებს ამ ჩანთას გრძელი და გამხდარი თითებით მხარზე და ჩქარი ნაბიჯებით მიდის სამსახურისკენ.

ლელა თბილისის ერთ უბანში, ერთი გახუნებული ყვითელი ფერის კორპუსში, სამ შვილთან და მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. სკოლაშიც მუშაობს, 5 წლის ბავშვებს კონსულტაციებს უტარებს, სკოლაში წასასვლელად რამდენად მზად არიან ბავშვები, ამას ამოწმებს. სახლში გვიან დაბრუნებული ლელა, დიდი ოთახის სავარძელზე დაჯდება, მუხლებზე ყვითელ-ლურჯ კუბოკრულ გადასაფარებელს გადაიფარებს და ქალაქისგან კალათების დაწნას იწყებს. რკინის წვრილი წვირი აქვს, დაახვევს ზედ გრძლად დაჭრილ ქალაქს და კალათის დასაწნავი მასალაც მზადაა, მერე კიდევ დაახვევს ქალაქს და ასე, სანამ კალათისთვის მასალა სრულად არ შეგროვდება.

მერე ისევ დილა მოდის, ისევ სამსახური, ისევ გვიანობამდე მუშაობა, ისევ კალათების დაწნა, ვახშმის მომზადებაც, ოჯახის მიხედვაც.....

ლელა არ გამოდის აქციებზე, არ დგება პარლამენტის წინ რუპორით, არ დადის რუსთაველზე ტრანსპარანტით, არც კვოტირებას და ქალებს ითხოვს სადმე, არც "კუხნაში" დგას და არც ქმარი სცემს. ლელას ცხოვრება აქვს, საქმეს აკეთებს. ლელა არც ფემინისტია და არც ყვრილი უყვარს, ლელა უფლებებს იცავს, სკოლამდელი ბავშვების, რომ დროზე ადრე არ შევიდნენ სკოლაში, ბავშვების, რომ აუტიზმი არ გაურთულდეთ, ბრტყელტერფიანობა არ განუვითარდეთ და ადამიანების, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ, რომ მათაც ისეთივე უფლებები ჰქონდეთ, როგორც ყველას. ლელა მოქმედებს, ასე იცავს მათ უფლებებს, მუშაობით. არ ოცნებობს დეკლარაციებზე, არც გრანტის მოპოვებაზე ოცნებობს, საერთოდ, ლელა არასდროს ამბობს, რაზე ოცნებობს. მას შვილების მირთმეული ქოთანში ჩარგული ერთი წითელი იაჟუჟუნა ისევე ახარებს, როგორც სოციალური თერაპიის სახლის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებს, საზოგადოებაში ინტეგრაცია.

არა, 5 წლის ბავშვებს ბავშვობა არ უნდა ერთმეოდეთო, მითხრა ერთხელ, როდესაც მორიგმა მშობელმა მორიგი ბავშვის სკოლაში 5 წლის შეყვანის საკითხზე აზრი ჰკითხა. რა აზრი აქვს, ამას რომ ეუბნები, მაინც 5 წლისას შეიყვანს, ეგ ისეთი ჯიუტი ჩანს-მეთქი, რომ ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში, ისინი თუ არ ზრუნავენ მომავალ თაობებზე, ეს ჩემი მოვალეობაა, მე უნდა ვიზრუნო ამაზეო. ისე მითხრა, ვერც შევეპასუხე.

ბრუნდება ყოველ დღე ლელა სამსახურიდან სახლში და ყვება, თუ როგორ მიადგა დიდი ხნის ვარჯიშის შემდეგ, სოფომ დღეს პირველად ფეხები ერთმანეთს, როგორ დაწყნარდა ნელ-ნელა გუგა, რომელიც შეუსვენებლად დახტოდა აქეთ-იქეთ, როგორ გაუღღმა აუტისტმა გიორგიმ პირველად და როგორ გადაარწმუნა დაბნეული მშობლები 5 წლის შვილის სკოლაში შეყვანაზე.

მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც ლექციაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე ვლაპარაკობდით, ლექტორი იჯდა და გვიხსნიდა, რომ ახლა ეს ტერმინოლოგია შეიცვალა და ისინი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ, ასე უნდა მოვიხსენიოთ.

-იცი, დიდი ხანია ასეთი დაწესებულება არსებობს, სოციალური თერაპიის სახლი, იქ დიდი ხნის წინ მიხვდნენ, რომ ეს ადამიანები, განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ, მაგრამ მაშინ არავინ არ იყენებდა ამ ცნებას. ვუთხარი ლექტორს.

-ხოდა ახლა ამერიკაში ასე დააწესეს და ამიერიდან ასე მოვიხსენიებთ. მოკლედ მიპასუხა ლექტორმა.

-თქვენ გქონიათ ამ ადამიანებთან ურთიერთობა?

-მე პირადად, ცოტა ხნის წინ, გამოფენაზე ვიყავი, იცით რა ლამაზ რაღაცებს აკეთებენ თურმე? ვერც მიხვდებით რომ ასეთმა ადამიანებმა გააკეთეს.

-ასეთმა? ასეთმა რას ნიშნავს?

-კარგი რა, გულის სიღრმეში ყველამ ვიცით, რასაც ვგულისხმობ და გვეცოდებიან კიდევ ასეთი ადამიანები. ლექტორს აუდიტორიაში მსხდომი სტუდენტებიც დაეთანხმნენ

-არა! მე ბავშვობაში დედაჩემს სამსახურში მივყავდი, ხშირად ვიჯექი ადამიანებთან ერთად, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. მერე გავიზარდე. მერეც მივდიოდი. უფრო და უფრო ვხვდებოდი, რომ ეს ადამიანები, იმიტომ საჭიროებენ განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ მათ ბრძოლა უწევთ, საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ბრძოლა. ლელას, ამდენი ხნის განმავლობაში, არცერთხელ არ უთქვამს ჩვენთვის, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები არიან. ლელა, მათ ყოველთვის, როგორც სოციალურ თერაპიის სახლის სხვა დანარჩენ თანამშრომლებს, ისე მოიხსენიებდა. მე დედაჩემმა ამ ადამიანებთან ერთად გამზარდა. მეც და ჩემი ძმებიც.